უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

05.02.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
ირინე კვახაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ქეთევან ინანაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ზვიად არძენაძე - შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის იურისტი;
2. გიორგი ცხვედიანი - სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ- ს ვიცე-რექტორი განათლების ხარისხის განვითარების ნაწილში;
3. ნონა ზუმბაძე - სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

4. ნინო ყურშუბაძე - შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ლეილა ახვლედიანი - შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
თამარ გვიანიშვილი;
ნინო ჯოჯუა;
ნატო ალავიძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:30 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საბჭოს მორიგ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით, იმ საფუძვლით რომ დაწესებულება არ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რადგანაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ოჯახური პირობების გამო დროულად ვერ ჩააბარა დასკვნა.

საბჭოს წევრებმა დააკმაყოფილეს წარმოდგენილი შაუამდგომლობა და შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადაიტანეს.

1. შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ გვიანიშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ნინო ჯოჯუამ და ლიკა გიორგაძემ.

ექსპერტთა განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ დაწესებულებაში განხორციელებული ცვლილებები. შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადეს მოდიფიცირება, ასევე, მთელი რიგი მარეგულირებელი აქტები, მათ შორის, დაწესებულების დებულება, დამტკიცდა განახლებული სახით. საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებსაც დაევალათ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შესწავლა და ანალიზი, საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა. თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნა, საგანმანათლებლო პროგრამები ასევე შესწავლილ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რის შედეგადაც პროგრამების ახლი ვერსიები დადგენილი წესის შესაბამისად წარედგინა აკადემიურ საბჭოს, შემდეგ - რექტორს და დამტკიცდა განახლებული სახით. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით გასულ წელს მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების ამსახველი მასალა. ექსპერტთა ჯგუფს ასევე წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ახალი სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, მიმდინარე წელს სწორედ წარმოდგენილი სახით განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება. დაწესებულების გრძელვადიანი, 6 წლიანი სტრატეგიული და მოკლევადიანი სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმები დამტკიცდა განახლებული სახით. მონიტორინგის ჯგუფს ასევე წარედგინა ხარისხის განვითარების მიმართულებით დაწესებულებაში მიმდინარე წელს განხორციელებული აქტივობების გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა, საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებასა და დახვეწაში მონაწილებდა თუ არა დაწესებულების აკადემიური პერსონალი.

ექსპერტის განმარტებით, აკადემიური პერსონალის ჩართულობა დასტურდება სამუშაო ჯგუფების შექმნით და შემუშავებული რეკომენდაციებით.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, აკადემიურ პერსონალთან მიმართებით ხომ არ განხორციელდა ცვლილებები.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ჩატარებული კონკურსის შედეგად მოხდა აკადემიური პერსონალის გაზრდა, თუმცა მათი გადამოწმების უფლება ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სიტემის გაუმჯობესებას გაუსვა ხაზი. მისი განმარტებით, ცვლილებები განხორციელდა, როგორც შინაარსობრივ ნაწილში, ასევე

პროცედურულ ნაწილში. დაწესებულების მიერ სტუდენტებისათვის მოხდა ინგლისური ენის სხვადასხვა საფეხურების, დონეების მიხედვით შეთავაზება. ამასთან, მისი თქმით მოხდა კომუნიკაციის აღდგენა აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის განხორციელების დახვეწის კუთხით მათი ჩართულობის გაზრდა. შეფასების სიტემასთან მიმართებით, მოხდა მისი დახვეწა და სტუდენტების ჩართულობის ხარისხის გაზრდა, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს საშუალება აქვს ყოველკვირეულად დააგროვოს ქულები. საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება მოხდა ერიანი სახით. სტუდენტს არჩევანის საშუალება მიეცა, მას შეუძლია აირჩიოს მაინორ პროგრამა ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში, შემოთავაზებული საგნები. პრაქტიკის კომპონენტებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოხდა მემორანდუმების რაოდენობის გაზრდა ამ კუთხით, ამასთან თავად დაწესებულების საკუთრებაში არსებული ორგანიზაციები მაქსიმალურად გადაერთვნენ სტუდენტების პრაქტიკაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუსთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 0
წინააღმდეგი- 5

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სასწავლო უნივერსიტეტ სეუს ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ ნატო ალავიძემ და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ქეთევან ინანაშვილმა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება წარმოადგენდა საერთაშორისო ქსელის უნივერსიტეტების ნაწილს და აქტიურად თანამშრომლობდა სტამბულის ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა".

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ავტორიზაციის მოპოვება აქამდეც სურდა, თუმცა შემდგომ წარმოება შეწყვიტა. წინა შემთხვევაში, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამიანური რესურსების ნაწილს, გამოსწორებულ იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტის თქმით, მატერიალურ ბაზასთან მიმართებით შენიშვნები არ იყო, დაწესებულება აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება აღჭურვილი იყო ვიდეო კონფერენციისთვის აუცილებელი დანადგარებით და კამერებით. მისი თქმით, ვიზიტის დროს მოხდა ვიდეოკონფერენციის მოწყობილობის გამართულობის შემოწმება, მოხდა ჩართვა სტამბულიდან, პარტნიორი უნივერსიტეტიდან. ის ფაქტი, რომ დაწესებულება საერთაშორისო უნივერსიტეტეტბის ქსელის ნაწილს წარმოადგენდა, უპირატესობას აძლევდა მათ სტუდენტს, ესარგებლა ამ უნივერსიტეტების უნიკალური წიგნადი ფონდის ელექტრონული რესურსებით.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, თუ ვის მოიაზრებდა დაწესებულება მათ პოტენციურ სტუდენტებად. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, დაწესებულებას ძირითადი გათვლა ჰქონდა თურქი ეროვნების სტუდენტებზე. აქვე მან განმარტა, რომ სტამბულის უნივერსიტეტებში სწავლა უფრო ძვირი ღირდა და ეს განაპირობებდა აღნიშნული სტუდენტების მოზიდვას. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი წარდმოადგენდა საერთაშორისო უნივერსიტეტების ქსელის ნაწილს და არა ფილიალს. ფილიალის შემთხვევაში, ყველაფერი იდენტური უნდა ყოფილიყო, აღნიშნულ შემთხვევაში კი მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის ერთგვარი მოდიფიცირება და ქართულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, გაუშვას მათი სტუდენტები სტამბულის უნივერსიტეტტებში და იქ მოხდეს მათი გადამზადება. იქიდან გამომდინარე რომ სააგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ინგლისურენოვანი იყო, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებაში იყო ინგლისური ენის კურსები. მისი განმარტებით, დაწესებულების კონკურენტუნარიანობას განაპირობებდა ასევე, ძლიერი მატერიალური ბაზა. სწავლის საფასური იქნებოდა 10 000 - დან 15 000 დოლარამდე, შესაბამისად დაწესებულება არ ჩაითვლებოდა კონკურენტად ბათუმში ადგილობრივი დაწესებულებისათვის.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა დაწესებულება ტრენინგ კურსების ჩატარებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება გეგმმავდა საექთნო კურსების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აქვე დასძინა, რომ სტამბულის ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტს ჰყავდა მაღალი დონის აკადემიური პერსონალი, რომელიც დისტანციური სწავლების საშუალებით ჩართული იქნებოდა მედიცინის პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, აპირებდა თუ არა დაწესებულება, მედიცნის ქართულენოვანი პროგრამის განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ამ ეტაპზე არ აპირებდა, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელებდა მედიცინის ქართულენოვან პროგრამას.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, მიღების რა წინაპირობები ჰქონდა დადგენილი დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კანონმდებლობით დადგენილ მიღების წინაპირობებთან ერთად დაწესებულების მიერ დადგენილია დამატებითი პირობაც, რაც გულისხმობს უცხო ენის ცოდნის კომპეტენციის შემოწმებას. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის დამადასტურებელი ცნობა ან სერთიფიკატი, ხოლო თუ ის არ ფლობს უცხო ენას, დაწესებულება სთავაზობს მას, ინგლისური ენის 6 თვიან და 1 წლიან სასწავლო კურსებს.

საბჭოს წევრი, ირინა კვახაძე დაინტერესდა, სწავლების რომელ ეტაპზე ექნებოდა სტუდენტს სტამბულის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტს სწავლების ყველა ეტაპზე, ნებისმიერ დროს ექნება შესაძლებლობა თურქეთის უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელოს.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა, თუ სად მოხდებოდა უცხოელი სტუდენტების განთავსება ანუ უზრუნველყოფდა თუ არა დაწესებულება მათ საცხოვრებელი ადგილით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მარკეტინგის სამსახურის მიერ მოხდებოდა მათთვის საცხოვრებელი ადგილის მოძიება.

საბჭოს თავმჯოდმარე, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, მედიცინის ამავე დასახელების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა თუ არა აჭარის რეგიონში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაც და მოხდებოდა თუ არა პროგრამის განხორციელებაში ადგილობრივი კადრების ჩართვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებდა ამავე დასახელების პროგრამას. ადგილობრივ კადრებთან მიმართებით აღნიშნა, რომ მოხდებოდა მათი ჩართვა პროგრამის განხორციელებაში, ამასთან, იგეგმებოდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რაც გულისხმობდა მათი აკადემიური პერსონალის მიერ დისტანციური მეთოდით სწავლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ბათუმის ონკოლოგიურ ცენტრთან და მათი ფართის, 500 კვ.მ. გამოყენებაც მოხდებოდა.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას 350 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 445434888) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 18:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე